

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ  
2011 წლის 15 ნოემბერს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა**

**• პოვანებიანი და შირიანი სასომხეთის წინააღმდეგ – განაცხადი  
№5065/06**

აპლიკანტები არიან სასომხეთის მოქალაქეები და ცხოვრობენ ერევანში. კონვენციის პირველი ოქმის I მუხლზე დაყრდნობით, ისინი ჩივიან, რომ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდა მათი უძრავი ქონების (კოპუსის ბინისა და საკუთარი სახლის) ექსპროპრიაცია ერევანში, საკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად. 2010 წლის 20 ივნისს სტრასბურგის სასამართლომ თავისი განჩინებით დაადგინა, რომ აპლიკანტებისთვის საკუთრების ჩამორთმევა არ შეესაბამებოდა სამართლებრივ პრინციპებს და შესაბამისად, წარმოადგენდა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლის დარღვევას. დღევანდელი განჩინებით, სასამართლომ განმცხადებლებს მიაკუთვნა 12.500 ევრო მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და 6.000 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

**• გ. პ. და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ – განაცხადი №22457/08**

აპლიკანტები მ.პ., მ.მ.პ. და მ.დ. ბულგარეთის მოქალაქეები არიან, დაიბადნენ 1974, 2003 და 1953 წლებში. მ.პ. ასევე არის საბერძნეთის მოქალაქე, და ცხოვრობს საბერძნეთში. ის არის მ.მ.პ.-ს მამა, რომელიც ცხოვრობს თავის დედასთან და მამინაცვალთან სოფიაში. მ.დ. არის მ.მ.პ.-ს ბებია დედის მხრიდან, რომელიც გარდაიცვალა 2011 წლის თებერვალში. აპლიკანტები აცხადებენ, რომ მ.მ.პ.-ს მიმართ მამინაცვალი სექსუალურად ძალადობდა, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა. კონვენციის მე-3 მუხლზე და მე-8 მუხლზე დაყრდნობით აპლიკანტები ჩივიან, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაეცვა მ.პ. არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისაგან ნელი და არაეფექტური გამოძიების გამო, რომელიც სექსუალურ ძალადობას ეხებოდა და ასევე იმ ფაქტის გამო, რომ მ.პ. კვლავაც ცხოვრობს მის მამინაცვალთან, რაგან ხელისუფლებამ უარი თქვა დაზარალებულის გადაყვანა სხვა სახლში.

კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლებზე დაყრდნობით, მ.პ. შემდგომში ჩივის, რომ ის თავად იყო არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ობიექტი, რადგან არ აცხობებდნენ მას სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მსვლელობის შესახებ ინფორმაციას. და ბოლოს, განმცხადებელი ჩივის განსაკუთრებით კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევაზე, რადგან ხელისუფლება არ უწოდდა ხელს შვილთან შეხვედრაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლები.

## • ლონგა ონეჯუ ლატვიის წინააღმდეგ – განაცხადი №57229/09

აპლიკანტი გაი უოლტერ ლონგა ონეჯუ კამერუნის მოქალაქეა და დაიბადა 1984 წელს. ევროპის კავშირის ტერიტორიაზე იგი შევიდა ლატვიიდან და შემდეგ მოითხოვა თავშესაფარი ლიტვაში, თუმცა 2008 წლის დეკემბერში იგი ისევ ლატვიაში დააბრუნეს. 2010 წლის იანვარში, მას შემდეგ, რაც ორჯერ ეთქვა უარი თავშესაფარზე, ლატვიის ხელისუფლებამ მოახდინა მისი დეპორტაცია კამერუნში. განმცხადებელი ჩივის, რომ 2008 წლის დეკემბრიდან 2010 წლის იანვრამდე, იგი დაკავებული ჰყავდათ დაკეტილ საცხოვრებელში, რომელიც არალეგალური იმიგრანტებისთვის და თავშესაფრის მაძიებლებისთვის იყო განკუთვნილი, რაც განმცხადებლის აზრით, წარმოადგენდა კონვენციის მე-5 მუხლის I, II და IV ნაწილების დარღვევას. კერძოდ, ჩივის, რომ დაკავებული ჰყავდათ დიდი ხნის მანძილზე სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, რაზედაც ვერ მოხერხდა საკმარისი გარანტიების წარმოდგენა, რომ თვითნებობისაგან უფილიყო იგი დაცული. განმცხადებელი ასევე ჩივის, რომ მას არ გადაეცა სასამართლოს მიერ გაცემული ზოგიერთი ორდერის ასლი, რომელიც მის დაკავებას ეხებოდა და რომ თავშესაფრის მინიჭების შესახებ განხილვები არ მიმდინარეობდა ჯეროვანი გულმოდგინებით.

სასამარტლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი აპლიკანტის თვითნებური დაკავების გამო კამერუნში დეპორტაციის საკითხის გადაწყვეტისას. რაც შეეხება დანარჩენ პერიოდში განმცხადებლის დაკავებას, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი. სამართლიანი დაკმაყოფილების კუთხით სახელმწიფოს დაეკისრა 9,000 ეუროს გადახდა აპლიკანტის სასარგებლოდ.

## • სემიკორზები პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №39900/06

აპლიკანტი პოლონეთის მოქალაქეა, დაიბადა 1955 წელს და ცხოვრობს კატოვიცეში (პოლონეთი). ის საგაზირო უურალისტია, რომელმაც 2002 წლის დეკემბერს გამოქვეყნა სტატია ადვოკატის შესახებ. სტატიაში საუბარი იყო ერთ-ერთ გახმაურებულ და მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ეს ადვოკატი იცავდა ბრალდებულის ინტერესებს. უურნალისტის აზრით ადვოკატმა ეს საქმე იმიტომ ვერ მოიგო, რომ არ ასრულებდა თავის პროფესიოლ მოვალეობებს და იქცეოდა არადამაჯერებლად. ადვოკატმა სარჩელით მიმართა სამოქალაქო სასამართლოს და უურნალისტს ბრალი დასდო ცილისწამებაში. სასამართლომ ადვოკატის სარჩელი დააკმაყოფილა და გაზეოთ მოსთხოვა ბოდიშის მოხდა და ბრალდების უარყოფა. განმცხადებელს მიაჩნია, რომ ადგილობრივი სასამართლების ასეთი გადაწყვეტილებით დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი.

## ანალოგი საქმეები

- რუნიჩი და სხვები ბოსნია-ჰერცეგოვინას წინააღმდეგ – განაცხადები №28735/06, 44534/06, 48133/06, 1474/07, 48205/07, 48206/07, 48211/07, 48234/07, 48251/07, 55672/07, 4244/08, 4581/08, 9954/08, 14270/08, 14283/08, 17165/08, 17727/08, 20841/08, 30890/08, 34354/08, 34361/08, 37854/08, 39190/08, 39197/08, 39207/08, 47248/10 და 47314/10)

წარმოდგენილ საქმეებში სასამართლომ დაადგინა, რომ დაირდვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი.

- კოოკარუ მოლდოვას წინააღმდეგ – განაცხადი №35251/04

საქმე ეხება აპლიკანტის სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმებას. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირდვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი.

- მისტრეანუ მოლდოვას წინააღმდეგ – განაცხადი № 27261/04

საქმე ეხება აპლიკანტის სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირდვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი.

## გაჭიანურებული საქმეები

- ფასკიანო და მაიო იტალიის წინააღმდეგ – განაცხადი №699/03
- აფშარი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №26998/04

წარმოდგენილი საქმეები ეხება სასამართლოებში საქმეთა გაჭიანურებით განხილვას. სასამართლომ ორივე საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა.